

სტუდენტთა საყურადღებოდ !!!!!

ცხადდება კონკურსი გაცვლით პროექტში
მონაწილეობის მსურველთათვის!!



E R A S M U S +

Key Action 1

პროექტი: მობილობა უსდ სტუდენტებისა და პერსონალისათვის

Mobility for Learners and Staff-

Higher Education Student and Staff Mobility

პარტნიორები :

ინჰოლანდის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები) და გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისი სასწავლო უნივერსიტეტი

- გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს ტურიზმის სპეციალობის (1 საკონკურსო ადგილი) სტუდენტთა ღია კონკურსს ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში ინჰოლანდის უნივერსიტეტში (ნიდერლანდები) სწავლის მსურველთათვის 2019-2020 სასწავლო წლისათვის. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ II- III კურსის სტუდენტებს!!!!

შერჩევის კრიტერიუმები

1. მაღალი აკადემიური მოსწრება;
2. ინგლისური ენის ცოდნა B1-B2 დონეზე (ენის ცოდნა შემოწმდება საუნივერსიტეტო გამოცდით ინგლისურ ენაში);
3. სხვა უნარები და მიღწევები (კონფერენციებში, ტრენინგებში, მასტერ კლასებში, საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობა და სხვა).

კონკურსი ჩატარდება 3 ეტაპად:

I ეტაპი: საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა;

II ეტაპი: ტესტირება ინგლისურ ენაში;

III ეტაპი: საკონკურსო პრეზენტაციების წარმოდგენა;

I ეტაპი: საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა;

წარმოსადგენი დოკუმენტები:

1. განცხადება მონაწილეობის შესახებ (განცხადების ფორმისათვის მოგვმართეთ: საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება, პროფ. ინგა დიაკონიძე, მე-2 სართული).
2. CV ქართულ და ინგლისურ ენებზე (სასურველია Europass CV)
3. Erasmus+პროგრამაში მონაწილეობის სამოტივაციო წერილი (ქართულად და ინგლისურად);
4. აკადემიური ცნობა;
5. დახასიათება (გაიცემა შესაბამისი კათედრის მიერ);
6. რეკომენდაცია (გაიცემა შესაბამისი ფაკულტეტის მიერ);
7. კონფერენციებში, ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები და/ან სერტიფიკატები (არსებობის შემთხვევაში).

II ეტაპი:

ტესტირება ინგლისურ ენაში

შერჩევის III ეტაპზე გადასულ სტუდენტებს ევალებათ:

წარმოადგინონ მაქსიმუმ 20 წუთიანი პრეზენტაციები (Power Point-ში, ინგლისურ ენაზე):

- თემა : საქართველო და ნიდერლანდები (10 წთ.)
- შერჩეული თემა სპეციალობის მიხედვით (10 წთ.)

საკონკურსო კომისია:

1. პროფ. გიორგი მათიაშვილი, რექტორი - კომისიის თავმჯდომარე;
2. გთსუ პარტნიორთა კრების თავმჯდომარე, ქალბატონი ლიანა თავართქილაძე;
3. პროფ. მაია უკლება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
4. პროფ. გელა ალადაშვილი, ბიზნესის და სოც. მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
6. პროფ. ინგა დიაკონიძე, საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი;

მნიშვნელოვანი თარიღები:

11 ოქტომბერი - საბუთების შეტანის ბოლო ვადა (დაგვიანებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მიიღება)

14 ოქტომბერი 14.00. - გამოცდა ინგლისურ ენაში;

15 ოქტომბერი 15.00- პრეზენტაციების კონკურსი, კომისიის საბოლოო დასკვნა

დამატებითი ინფორმაციისათვის, მოგვმართეთ:

საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება,

პროფ. ინგა დიაკონიძე. მე-2 სართული